

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონის პროექტის მიღების მიზეზი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციის გათვალისწინებით, რომელიც ხალხის მიერ სახელმწიფოსათვის მინდობილი სახსრების მართვის კანონიერებისა და საფინანსო-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებას გულისხმობს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ ინსტიტუციის დამოუკიდებლობა, რომელიც არსებითად განაპირობებს მისი საქმიანობის ხარისხს და ამ თვალსაზრისით პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების კონსტიტუციურ ინტერესზე ფლობდეს სრულ, ობიექტურ ინფორმაციას საჯარო ფინანსურ ადმინისტრირებაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

დამოუკიდებლობის პრინციპის ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, უმაღლესი აუდიტის სფეროში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების, შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და დამკვიდრებული სანიმუშო პრაქტიკის შესაბამისად, უმაღლესი აუდიტორული ორგანოს დამოუკიდებლობა კონსტიტუციურ-სამართლებრივ კატეგორიად განიხილება, როგორც ამ ინსტიტუციის არსებითად დამახასიათებელი ნიშან-თვისება, რომელიც წარმოადგენს გარანტიას მის მიერ თავისი უფლებამოსილების ობიექტურად და ეფექტიანად შესრულებისათვის. ამასთან, დამოუკიდებლობამ კონსტიტუციური გარანტიის ეფექტით რომ იმუშაოს პრაქტიკაში, უზენაესი კანონი საამისოდ საკმარის საფუძვლებს უნდა ადგენდეს. სწორედ ამ მიმართულებით გვესახება საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის განმტკიცებას უზრუნველყოფს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელება, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისიის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეალიზაციის შესაძლებლობას შექმნის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

1. საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად, „სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში...“, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.“. ეს დანაწესი მიუთითებს, რომ

დამოუკიდებლობა უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო უმაღლესი აუდიტის ფუნქციის სრულყოფილად განხორციელებისათვის და ამის გათვალისწინებით, კონსტიტუცია კანონმდებელს ავალებს შექმნას შესაბამისი სამართლებრივი პირობები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა–პრინციპი კრძალავს დამოუკიდებლობის ძირითადი არსის დაძლევას და ამ მიზნით ხელისუფლების მიერ მისი დარღვევის, ხელყოფის ნორმატიული საფუძვლის შექმნას. ამასთან, კონსტიტუციური მიდგომის გაზიარებით, რომ ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს კარგავს მისი რეალიზაციის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე, მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს კითხვას – რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებელი დამოუკიდებლობის სტანდარტის განმარტებისას არ არის შეზღუდული აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპის ფუნდამენტური მნიშვნელობით, არსებობს თუ არა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი?

დასმულ საკითხთან დაკავშირებით გასაანალიზებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების კონსტიტუციურ–სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციით არ არის შექმნილი საკმარისი გარანტიები კონსტიტუციითვე აღიარებული უფლების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 89–ე მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ არის უფლებამოსილი შეიტანოს კონსტიტუციური სარჩელი მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლების დარღვევისა თუ მის დამოუკიდებლობასთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხზე, აღნიშნული – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის პრეროგატივაა.¹ ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატთან მიმართებით მიღებულ ნორმატიულ აქტებზე კონსტიტუციური დაცვის შესაძლებლობას, როგორც ასეთს, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს, თუმცა რამდენად არის არსებული მექანიზმი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებელი საქმიანობის უზრუნველყოფისა და მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევის საფრთხისგან დაცვის ეფექტური და ადეკვატური საშუალება, ეს სწორედ ის საკითხია, რაზედაც მსჯელობა საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით:

- კონკრეტული ინტერესის უფლებად განსაზღვრის შედეგი არის სწორედ ის, რომ მისი ხელყოფის ან შესაძლო ხელყოფის შემთხვევაში უფლების სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ხელყოფის საფრთხისგან დაცვა, რომლის უზრუნველყოფის

¹ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33–ე მუხლის პირველი პუნქტი და 34–ე მუხლის პირველი პუნქტი.

უმნიშვნელოვანესი გარანტია მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა, რომლის არათანაზომიერი შეზღუდვა შეიცავს საფრთხეს თავად იმ უფლების უგულებელყოფისა, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვაა შეზღუდული.

- განსახილველ შემთხვევაში, უფლების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობის არათანაზომიერ შეზღუდვაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების დასაცავად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის აკრძალვასთან ერთად, უფლების სუბიექტი არ არის აღჭურვილი თავისი უფლების დაცვის სხვა ადეკვატური ალტერნატიული საშუალებებით. იმ პირობებში, როდესაც ამ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მესამე პირთა (პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა) პრეროგატივაა, მაშინ როდესაც აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური სტატუსის გათვალისწინებით – საქართველოს მთავრობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კონტროლის მთავარი ობიექტია, ხოლო საქართველოს პარლამენტი და საქართველოს პრეზიდენტი საკანონმდებლო პროცესის სუბიექტები არიან, ალბათობა იმისა, რომ მათ მიერ შეტანილ იქნეს სარჩელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატის შემზღუდავი საკანონმდებლო აქტის კონსტიტუციურობის საკითხზე, რა თქმა უნდა, არსებობს, თუმცა არცთუ ისე მაღალია. აღნიშნული კი, სასამართლოსადმი ფორმალური ხელმისაწვდომობის რისკის შემცველია.
- ანალიზისათვის მოვიხმობთ საერთაშორისო პრაქტიკას, მაგ.: პოლონეთის კონსტიტუციით (მუხ. 191–192)² უმაღლეს კონტროლის პალატას უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს კანონების, საერთაშორისო შეთანხმებების და ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებზე, ასევე უმაღლესი კონტროლის პალატის კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლების დარღვევის თაობაზე; გერმანიის კონსტიტუცია (მუხ.93, აზ. 1)³ და ავსტრიის კონსტიტუცია (მუხ. 126)⁴ ასევე ითვალისწინებენ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიმართვის შესაძლებლობას მისი კონსტიტუციური კომპეტენციის თაობაზე დაცვის შემთხვევაში. გარე აუდიტის საერთაშორისო

² <http://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm>

³ http://www.servat.unibe.ch/icl/gm00000_.html

⁴ <http://www.rechnungshof.gv.at/en/austrian-court-of-audit/legal-provisions/the-title-five-of-the-federal-constitution-audit-of-financial-operations.html>

სტანდარტებით⁵, უმაღლესი აუდიტორული ორგანოს დამოუკიდებლობის სათანადო ხარისხის უზრუნველსაყოფად გარანტირებული უნდა იყოს უმაღლესი სასამართლოს მიერ ამ ორგანოს სამართლებრივი დაცვა მის აუდიტორულ მანდატსა და დამოუკიდებლობაში ნებისმიერი სახის ჩარევისაგან.

ამდენად, კონსტიტუციური უფლების დაცვის ადეკვატური სამართლებრივი მექანიზმის დადგენის მიზნით, რომლის გარეშეც „უფლება“ ვერ იქნება უფლების სუბიექტის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის რეალური გარანტია და მას მხოლოდ თეორიული, დეკლარაციული დატვირთვა ექნება, პროექტით ცვლილება შედის კონსტიტუციის 89-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებას მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მის მანდატთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხზე.

2. კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პარლამენტი საჯარო სახსრების ხარჯვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით აკონტროლებს. აღნიშნული ნორმა საკმარისი სიცხადით არ განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის კონტროლის სფეროში ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოსა და უმაღლესი აუდიტორული ორგანოს უფლებამოსილებისა და ურთიერთმიმართების საკითხს. სიცხადის ნაკლებობამ კი, შეიძლება გამოიწვიოს ნორმის არაერთგვაროვანი წაკითხვა, მათ შორის, ინტერპრეტირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანიზაციული და ფუნქციური დამოუკიდებლობის შეზღუდვის კონტექსტით.

კონსტიტუციის 97-ე მუხლითა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ავტონომიურობის პრინციპის თანმიმდევრული განმარტების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, რომელიც ხაზს უსვამს ამ ინსტიტუციის, როგორც სამართლებრივად თვითმყოფადი ორგანოს განსაკუთრებულ როლსა და ადგილს სახელმწიფო ორგანოების სისტემაში, მიზანშეწონილია, 93-ე მუხლის მე-6 პუნქტის რედაქცია

⁵ იხ. INTOSAI-ის მიერ მიღებული „ლიმის დეკლარაცია აუდიტის პროცედურათა დირექტივების შესახებ“ (მუხ. 5, პუნქ. 3) http://www.issai.org/media/12901/issai_1_e.pdf

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაცია (INTOSAI) გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან (ECOSOC) არსებული სათათბირო ორგანოა. მისი წევრია გაეროს ყველა წევრი ქვეყანა, რომელიც მოიცავს 190 სახელმწიფოს. საქართველო INTOSAI-ს წევრია 1992 წლიდან. INTOSAI შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებს - ISSAI (International Standards of Supreme Audit Institutions), საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს, სანიმუშო პრაქტიკასა და სხვა მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დოკუმენტებს. აღნიშნული დოკუმენტები ასახავს აუდიტის უმაღლესი ორგანოების ფუნქციონირების თანამედროვე მიდგომებსა და კონცეფციებს.

დაიხვეწოს. კერძოდ, პროექტით დაზუსტებული ნორმის შინაარსის შესაბამისად, საჯარო ფინანსებს პარლამენტი აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელშეწყობით.

3. პროექტით ცვლილებები შედის კონსტიტუციის 97-ე მუხლის პირველ-მე-4 პუნქტებში, კერძოდ:

3.1. ახლებურად ყალიბდება და იხვეწება 97-ე მუხლის პირველი პუნქტის რედაქცია, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტატუსსა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს. ცვლილებები განპირობებულია სამსახურის საქმიანობის სფეროს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ფორმულირებისა და მისი კომპეტენციის სრულყოფილად ასახვის საჭიროებით.

პროექტის მიხედვით, ტერმინი - „საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენება და ხარჯვა“, რისი ზედამხედველობაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციაა, იცვლება უფრო ნათელი და ყოვლისმომცველი დეფინიციით, რაც მოიცავს ზედამხედველობას „სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების, ვალდებულებების, ქონებისა და სხვა საჯარო რესურსების მართვაზე.“

წარმოდგენილი ცვლილება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციად განსაზღვრავს არა მარტო საჯარო რესურსების „გამოყენებასა და ხარჯვაზე“ ზედამხედველობას, არამედ შემოსულობების კონტროლსაც. მართალია, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატში სახელმწიფო შემოსულობებზე ზედამხედველობის განხორციელებასაც მოიაზრებს, თუმცა, პრაქტიკაში და მიმდინარე კანონმდებლობაში იგი სათანადოდ რეალიზებული და ასახული არ არის. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პარლამენტისთვის მოხსენების წარდგენას ბიუჯეტის შესრულების მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით. ბიუჯეტის შესრულება კი, მხოლოდ გადასახდელებს არ მოიცავს. მასში შემოსულობების შესრულებაც შედის, რაზედაც პარლამენტისთვის სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, აუდიტორული საქმიანობის განხორციელების გზით, არსებითად მნიშვნელოვანია მთავრობის საქმიანობაზე ქმედითი კონტროლის განხორციელებისა და სწორი ფისკალური პოლიტიკის წარმართვისათვის. ამასთანავე, კონსტიტუციის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი ცალსახად აღიარებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციას საგადასახადო საკითხებზე საქართველოს პარლამენტისადმი წინადადებების მიმართვის შესახებ, რაც პრაქტიკაში ვერ რეალიზდება, თუკი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საგადასახადო აუდიტის ჩატარების შესაძლებლობა არ ექნება.

შემოსავლების საკითხზე საფინანსო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესწავლასთან მიმართებით უმაღლესი აუდიტორული ორგანოს განსაკუთრებულ როლზე ხაზგასმას ლიმის დეკლარაციაც აკეთებს, რომლის მე-20 მუხლის თანახმად:

„1. უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანომ, შეძლებისდაგვარად, უნდა განახორციელოს გადასახადების აკრეფის ყოვლისმომცველი აუდიტი და, ამავე დროს, შეამოწმოს ინდივიდუალური საგადასახადო საქმეები.

2. გადასახადების აუდიტი, უპირველეს ყოვლისა, კანონიერებისა და შესაბამისობის შემოწმებას წარმოადგენს. თუმცა, უმაღლესმა აუდიტორულმა ინსტიტუციამ, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების კონტროლისას, უნდა შეამოწმოს გადასახადების აკრეფის ორგანიზება და ეფექტურობა, ასევე, შემოსავლების გეგმების შესრულება და, თუ საჭიროა, საკანონმდებლო ორგანოს შესთავაზოს არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესების წინადადებები.“

ყოველივე ზემოთ აღნიშნული დღის წესრიგში აყენებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმის უფრო ნათლად ჩამოყალიბების საჭიროებას, რათა კონსტიტუციური დანაწესი შეიცავდეს ცხადად ფორმულირებულ მითითებას შემოსულობებთან მიმართებით აუდიტორული მანდატის შესახებ. ამის გათვალისწინებით, ცვლილება შედის კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-6 პუნქტსა და 97-ე მუხლის პირველ პუნქტში. კერძოდ, დაკონკრეტდა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ზედამხედველობს საჯარო რესურსების, მათ შორის, ბიუჯეტის შემოსულობების მართვას (და არა მხოლოდ ხარჯვას).

ამას გარდა, კონსტიტუციის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედ რედაქციაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საექსპერტო-საკონსულტაციო უფლებამოსილება მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობასთან მიმართებაშია განხილული. ლიმის დეკლარაციის მე-12 მუხლის მიხედვით კი, „საჭიროების შემთხვევაში, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს შეუძლია, პარლამენტსა და ადმინისტრაციას გაუზიაროს თავისი პროფესიული გამოცდილება ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა დადგენილებების შესახებ საექსპერტო მოსაზრებების სახით“. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კონსტიტუციური ნორმის არსებული რედაქცია არ ითვალისწინებს *in expresso* სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქციის რეალიზების ძირითად ფორმას – აუდიტს, კონსტიტუციის ტექსტში საექსპერტო-საკონსულტაციო საქმიანობაზე აქცენტირება, რომელიც სწორედ აუდიტორული საქმიანობის შედეგებს ეფუძნება და არაძირითად, დამატებით ამოცანას წარმოადგენს, დისკრეციული უფლებამოსილების სახით, არსებითი არ უნდა იყოს და შესაძლებელია დაკონკრეტდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში. ასევე, ზოგადად საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (მუხლი 150). აქედან გამომდინარე, პროექტით შემოთავაზებულ რედაქციაში საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებების წარდგენის უფლებამოსილების შესახებ ჩანაწერი არ არის გათვალისწინებული.

ამასთანავე, უმაღლესი აუდიტორული ორგანოს როლისა და საქმიანობის თანამედროვე გაგება სცდება ვიწრო ფინანსურ შეფასებებს და საჯარო ადმინისტრაციის ეფექტიანობის შეფასებას გულისხმობს. ლიმის დეკლარაციის პირველი მუხლის შესაბამისად, „აუდიტის იდეა და მისი დანერგვა საჯარო ფინანსურ ადმინისტრირებაში სახელმწიფოსადმი მინდობილი სახსრების ეფექტური მართვის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია....“. ამავე დეკლარაციის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად:

„1. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ტრადიციული ამოცანაა ფინანსური მართვისა და ანგარიშგების კანონიერებისა და შესაბამისობის შემოწმება.

2. ამ ძალზედ მნიშვნელოვანი სახის აუდიტთან ერთად არსებობს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი აუდიტის ფორმა – ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც მიმართულია საჯარო ადმინისტრირების ქმედუნარიანობის, ეკონომიურობის, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის შემოწმებაზე. ეფექტიანობის აუდიტი ეხება არა მხოლოდ სპეციფიკურ ფინანსურ ოპერაციებს, არამედ მთავრობის საქმიანობის მთლიან სპექტრს, ორგანიზებისა და ადმინისტრირების სისტემების ჩათვლით.“.

ეფექტიანობის აუდიტის ცნება ქართულ კანონმდებლობაში შემოვიდა 2008 წელს, როდესაც მიღებულ იქნა ახალი კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“. აღნიშნული აუდიტის განხორციელებას კი, უწყება 2012 წლიდან შეუდგა.

ამ ნაწილში (მუხლი 97.1) პროექტით შემოთავაზებული ცვლილება მიზნად ისახავს სამსახურის აუდიტორული მანდატის განმსაზღვრელი დეფინიციის სრულყოფას. ამასთანავე, ეფექტიანობის კონცეფციის კონსტიტუციურ დონეზე განსაზღვრა მას საჯარო ფინანსური ადმინისტრაციისთვის სახელმძღვანელო პრინციპად აქცევს, რაც მაქსიმალური შედეგების მიღწევაზე დაფუძნებული სისტემის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

3.2. კონსტიტუციის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში“. პროექტით შემოთავაზებული რედაქცია, სადაც ფრაზა „თავის საქმიანობაში“ ამოღებულია, მიზნად ისახავს აქცენტირებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობაზე, რომელიც, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არა მხოლოდ ფუნქციურ, არამედ ორგანიზაციულ და ფინანსურ დამოუკიდებლობასაც უნდა მოიაზრებდეს და, რომლის უზრუნველყოფის გარანტიები დეტალურად ორგანული კანონით განისაზღვრება.

3.3. დამოუკიდებელი და ეფექტიანი უმაღლესი აუდიტის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარანტიები მაღალ ადგილს იკავებდეს საკანონმდებლო იერარქიაში, კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანიზაციასა და საქმიანობას არეგულირებდეს ორგანული კანონი, როგორც ეს სხვა დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოების შემთხვევაშია გათვალისწინებული. ამ მიზნით, კონსტიტუციის 97-ე მუხლის

მე-2 და მე-4 პუნქტებში შედის ცვლილება, რომლითაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატისა და დამოუკიდებლობის გარანტიების განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტი ორგანული კანონის სტატუსს იძენს.⁶

3.4. წარმოდგენილი პროექტი ასევე ითვალისწინებს კონსტიტუციის 97-ე მუხლის სტრუქტურის დახვეწას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიებას არ მოითხოვს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

აღნიშნული კანონპროექტი გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ ხარჯებს ბიუჯეტიდან არ მოითხოვს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ამ პროექტით სახელმწიფო ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ კისრულობს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრის წესი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

თავსებადია საერთაშორისო სტანდარტებთან და არ ეწინააღმდეგება მას.

⁶ საყურადღებოა, რომ არსებული მდგომარეობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ძირითადი აუდიტორული უფლებამოსილება და დამოუკიდებლობის გარანტიები მიმდინარე კანონით არის განსაზღვრული, პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგთან დაკავშირებით მისი მანდატი კი, ორგანული კანონით რეგულირდება.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: